თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7891401

ნომერი: AR11136873

თარიღი : 03.04.2026

გაცემის თარიღი : 24.04.2026

გაცნობის თარიღი : 24.04.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. უზნაძე , N 58 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა უშანგი ჩხეიძის , N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურ მუსაიევ პ/ნ 28001000274
- თბილისი იყალთოს გორის ქ. N 18 ბ. 18

ორგანიზაცია:

- შპს ამერიკან ჰოსპიტალ თბილისი კოდი: 402154342

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, დ. უზნაძის ქ. N58, უშანგი ჩხეიძის ქ. N17-ში, შპს ”SAYALI”-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შლაგბაუმების (სამი ერთეულის) მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882026320694 20/04/2026წ. საკადასტრო კოდი №01.13.08.011.042, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, დ. უზნაძის ქ. N58, უშანგი ჩხეიძის ქ. N17-ში, შპს ”SAYALI”-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შლაგბაუმების (სამი ერთეულის) მოწყობის შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.